



ადმონსავლეთის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 25 ოქტომბერი, 2013 წელი

დრო: 15:00 – 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. მურმან მარგველაშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
4. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
5. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
6. გიორგი აბულაშვილი - ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
7. ნუგზარ სულამანიძე - კავშირი "ეკოტექი"
8. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
9. მანანა დევიძე - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია"

ჯგუფის წევრებმა განიხილეს კოალიციური პროექტების მიმდინარეობის საკითხი. ფონდი "კავკასიის ეკოლოგიის" წარმომადგენელმა დამსწრეებს გააცნო ერთ-ერთი დასრულებული პროექტის შედეგები. პროექტი განხორციელდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით და მასში მონაწილეობდა მესამე სამუშაო ჯგუფის 5 წევრი ორგანიზაცია: ფონდი "კავკასიის ეკოლოგია, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, ენერგოეფექტურობის ფონდი, კავშირი "ეკოტექი" და ასოციაცია "მწვანე ტალღა".

პროექტი ეხებოდა გარემოსდაცვით პრობლემებს ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობასთან მიმართებაში. პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა ამ სფეროში არსებული პოლიტიკა და საკანონმდებლო ბაზა. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ

კანონმდებლობა სრულ შეუსაბამობაშია არსებულ რეალობასთან, არ არის ჩამოყალიბებული ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის პოლიტიკა, არ არსებობს მონიტორინგის პროცესში საზოგადოების მონაწილეობის მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურა. უმეტეს შემთხვევებში პროექტები ორიენტირებულია მხოლოდ ინვესტორის მოგებაზე და ქვეყნის თუ მოსახლეობის ინტერესები იგნორირებულია. ამის ნათელია მაგალითია ონის კასკადი. გაირკვა, რომ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მზადდება, თუმცა ახლა შეჩერებულია, კავკასიონის მთიანეთის დაცული ტერიტორიების გეგმა, რომელშიც შედის რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. შესაბამისად, შეუძლებელია დაცულ ტერიტორიაზე დაიწყოს ონის კასკადის მშენებლობა. პროცესი სრულიად გაუმჭირვალეა, კასკადის სავარაუდო მშენებლობასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის მიღება ვერ ხერხდება ვერცერთი სახელმწიფო უწყებიდან. მოსახლეობის ინფორმაციით გარკვეული სამუშაოები მშენებლობის დასაწყებად უკვე ჩატარდა, ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ გეოდეზისტები.

კოალიციური პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო კასკადის სავარაუდო მშენებლობასთან დაკავშირებით მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება და მათი აზრის დაფიქსირება. ჩატარდა შეხვედრები, სემინარები და ტრენინგები. ფონდი "კავკასიის ეკოლოგიის" წარმადგენელის თქმით, კასკადის მშენებლობა გამოიწვევს საცხოვრებელი პირობების მკვეთრ გაუარესებას, ტენიანობის გაზრდას, მიკროკლიმატის შეცვლას და შესაბამისად, მიგრაციის ნაკადის გაძლიერებას, უნიკალური ველურის ბუნების განადგურებას.

ამის შემდეგ დამსწრეებმა იმსჯელეს ხუდონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებზე. აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარკვეულმა ნაწილმა მოამზადა განცხადება მშენებლობასთან დაკავშირებით. დამსწრეებმა გამოთქვეს უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ეს განცხადება არ გავრცელდა ეროვნული პლატფორმის საერთო ქსელით (გარკვეული რაოდენობის ხელმოწერების შეგროვების შემდეგ გავრცელდა მხოლოდ სენის ქსელით), მიუხედავად იმისა, რომ განცხადების ერთ-ერთი ინიციატორი იყო პლატფორმისა და მესამე სამუშაო ჯგუფის წევრი, ორგანიზაცია, "მწვანე ალტერნატივა". გადაწყდა, რომ ჯგუფის წევრები მწვანე ალტერნატივის წარმომადგენლებთან შეეცდებიან იმის გაარკვევას, თუ რატომ არ გავრცელდა განცხადების ტექსტი პლატფორმის ქსელში.

ჯგუფის თანაკოორდინატორის ინფორმაციით, ხუდონჰესზე იწერება ახალი გზა, შეცვლილია პარამეტრები, კაშხლის სიმაღლე, განლაგება და კონსტრუქცია. ჯერ საერთოდ არ დაწყებულა სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაზე მუშაობა, რაც მსოფლიო ბანკის პროცედურის დარღვევაა. პირველ რიგში უნდა მომზადდეს სოციალური შეფასება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს პროექტირება. არსებული კანონმდებლობის თანახმად, მშენებლობის ნებართვის მიღებას აქვს სამი ეტაპი: 1. ინვესტორმა სახელმწიფოს უნდა წარუდგინოს ტერიტორია, სადაც აპირებს ობიექტის აშენებას და ეს ტერიტორია უნდა იყოს მისი საკუთრებაში. 2. უნდა წარმოადგინოს გზა ანგარიში, რომელზეც გარემოს დაცვის სამინისტრო დაწერს დასკვნას. ამის შემდეგ იწყება პროექტირება, პროცედურის მესამე ეტაპი. მესამე ეტაპზე გადასვლით მშენებლობის ნებართვა გაცემულია. აღსანიშნავია, რომ სამივე ეტაპი ფასიანი.

ჯგუფის წევრების აზრით, არსებული პროცედურა თავიდან ბოლომდე არასწორია. აუცილებელია ჯგუფმა შეიმუშაოს რეკომენდაცია პროცედურის შეცვლასთან დაკავშირებით.

გადაწყდა, რომ ნომბრის ბოლოსთვის პლატფორმის ფორმატში მომზადდება დიდი შეხვედრა, სადაც ექსპერტები წარმოადგენენ კვალიფიციურ შეფასებებს სხვადასხვა მიმართულებით. აქვე მოხდება ჯგუფის წევრების მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების განხილვაც. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ დაიწყება ამ მიმართულებით მუშაობა და მოგვიანებით შეჯერდება შეხვედრის საბოლოო ფორმატი და დღის წესრიგი.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია